„ვამტკიცებ"

შპს "ხელოვნების ნიმუშთა
კონსერვაციის ცენტრი"-ს
დირექტორი

---------- კუპრაშვილი

„ვამტკიცებ"

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

---------- პ. გაფრინდაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

03/07 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს ტექნიკური შეფასების განყოფილების მთავარი სპეციალისტი გ. ჭანუყვაძე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მ. ვარძელაშვილი, რეაბილიტაციის დაგეგმვის განყოფილების უფროსი დ. ბოლოთაშვილი და უფროსი სპეციალისტი ქ. დარჩია; და მეორეს მხრივ შპს "ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს დირექტორი გ. კუპრაშვილი ვადასტურებთ, რომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" („შემსყიდველი") და შპს "ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს („მიმწოდებელი") შორის დაიდო ხელშეკრულება №3/106 30.04.14 წ., რის საფუძველზეც „მიმწოდებელმა" შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები (სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-სთვის ატენის სიონის კედლების სტრუქტურული გამაგრების და ქვის კოსნერვაციის სამუშაოები) თანხით 30530,15 (ოცდაათი ათას ხუთას ოცდაათი და 15 თეთრი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

გ. კუპრაშვილი

გ. ჭანუყვაძე

მ. ვარძელაშვილი

დ. ბოლოთაშვილი

ქ. დარჩია

ინსპექტირების დასკვნა

2014 წლის 2 ივლისს შპს "ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა ატენის სიონის კედლების სტრუქტურული გამაგრების და ქვის კოსნერვაციის I ეტაპის სამუშაოების ანგარიში, თანხით 30530,15 (ოცდაათი ათას ხუთას ოცდაათი და 15 თეთრი) ლარი, რაც წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა სამუშაოების შესრულების ანგარიში, შესრულებულია შემდეგი:

- მოეწყო ინვენტარული ხარაჩო;
- ძეგლის ფასადები დამუშავდა ბენზალკოლიუმის ხსნარით;
- ქვებსა და დუღაბს შორის არსებული ცარიელი ადგილები გაიწმინდა ჰაერის ჭავლით (290 კვ.მ);
- მოხდა საპირე წყობის ქვებს შორის არსეული ნაკერებისა და ბზარების ამოვსება (120 კვ.მ.);
- ზედაპირები მომზადდა ინექტირებისთვის და განლაგდა მილაკები (290 კვ.მ.);
- ჩამოტეხილ ქვებს ჩაუტარდა რესტავრაცია (80 კვ.მ.);
- დაიწყო ინექტირება (120 კვ.მ.);
- ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის სახიფათო მონაკვეთები დროებით გამაგრდა და მომზადდა ინექტირებისთვის (5 კვ.მ.);
- დაიწყო ეროზირებული და დელამინირებული ქვის ორნამენტების გამაგრება (გადაუდებელი, 15 კვ.მ.).

საკონსერვაციო ხარისხი აკმაყოფილებს ნორმებსა და წესების მოთხოვნებს, რასაც ვადასტურებთ ინსპექტირების ჯგუფი:

გ. ჭანუყვაძე

მ. ვარძელაშვილი

დ. ბოლოთაშვილი

ქ. დარჩია

02.07.2014